TAV Georgia

თარიღი : 26 / 03 / 2019
ნომერი : TAV.GM.5502

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ განვიხილეთ თქვენი მიმდინარე წლის 21 მარტის N 2947/01 წერილი, რომელიც ეხება ქალაქ თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის საერთაშორისო აეროპორტის ტერიტორიაზე #1 ბაქნის გაგანიერების პროექტთან დაკავშირებულ საკითხს და რომლის მიხედვითაც აღნიშნული პროექტი განიხილება როგორც თბილისის საერთაშორისო აეროპორტის მშენებლობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის პროექტის ექსპლოატაციის პირობების ცვლილება და საჭიროებს კოდექსით დადგენილი სკრინინგ პროცედურის გავლას.

შ.პ.ს. „ტავ ურბან საქართველოს“ 13.12.2005 წ. სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით მიღებული აქვს სახელმწიფო ნებართვა. აღნიშნულის მიხედვით, წარმოდგენილი მითითებების და პირობების სრული გათვალისწინებით, აგებულია და ფუნქციონირებს ახალი ტერმინალი, პერონი, საჰაერო ხომალდების სადგომები და ა.შ. რაც განთავსებულია კონკრეტული პარამეტრების გენერალური გეგმის საზღვრებში (იხ. დანართი) და ჩვენს მფლობელობაშია ტერიტორია, რომელზედაც განსაზღვრულია საჰაერო ხომალდების დროებითი პარკირება, ასევე ნებართვის ფარგლებში დამტკიცებული გენგეგმის ფარგლებშია და მისი აშენება გათვალისწინებულია პროექტით. ზემოხსენებული ნაკვეთი ტერიტორიულად წარმოადგენს თვითმფრინავების სადგომების მიმდებარე ტერიტორიას და პროექტით განსაზღვრული ადგილების მოწყობით ფრენების რაოდენობა არ გაიზრდება, არ შეიცვლება არც ტექნოლოგიური ციკლი, არც წარმადობა და არც ექსპლოატაციის პირობები არ იცვლება.

აქვე დამატებით გაცნობებთ, რომ #1 ბაქანზე დაგეგმილი გვაქვს ბაქნის რეკონსტრუქციის სამუშაოები, რის გამოც საჰაერო ხომალდების სადგომების გარკვეული რაოდენობა საექსპლუატაციოდ იქნება დაკეტილი, შესაბამისად, არსებული ფრენების რეგულარობის და თვითმფრინავების შეუფერხებელი მომსახურების მიზნით გვესაჭიროება ზემოხსენებული პროექტით გათვალისწინებული სადგომების მოწყობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ჩვენ მიერ მომზადდა სკრინინგის ანგარიში, რასაც წარმოგიდგენთ შესაბამისი დანართების სახით.

მოგმართავთ თხოვნით, რათა გაითვალისწინოთ აღნიშნული გარემოება, ასევე აეროპორტის როგორც სტრატეგიული ობიექტის საქმიანობა და შეძლებისდაგვარად მოკლე ვადებში განიხილოთ თანდართული განაცხადი.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 4647
27 03 2019
2 ფ.
+ 02 +

TAV Urban Georgia LLC
Tbilisi International Airport
0158 Tbilisi, Georgia
T: (+995 32) 2 310 265
F: (+995 32) 2 310 322
www.tbilisiairport.com

URS CERTIFICATE NO. 31199

პატივისცემით,

თეა ზაქარიაძე
გენერალური მენეჯერის მოადგილე

დანართი 1 - სკრინინგის განაცხადი - 9 ფურცელი

დანართი 2 - გენ. გეგმა - 1 ფურცელი

დანართი 3 - ამონაწერი საჯარო რეესტრიდან - 7 ფურცელი

დანართი 4 - საკადასტრო გეგმა - 2 ფურცელი

დანართი 5 - ტოპოგადაღება - 1 ფურცელი

დანართო 6 - სადგომები განთავსების სქემატური ნახაზი - 1 ფურცელი

დანართი 7 - აეროფოტოგამოსახულება -1 ფურცელი

ML